

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - სამართლის საბაკალავრო პროგრამა/ Bachelor Program of Law

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240 (ECTS) კრედიტი: სავალდებულო კომპონენტი - **171 (ECTS)** კრედიტი, არჩევითი კომპონენტი - **69 (ECTS)** კრედიტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

- საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება სამართლის მიმართულებით.
- შეასწავლოს სტუდენტს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებები, პრინციპები და ინსტიტუტები, ზოგადსამართლებრივი პრინციპები, ფასეულობები და ღირებულებები, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტები, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრი და კანონმდებლობა.
- მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, შეიძინოს სიღრმისეული ცოდნა და განახორციელოს ინდივიდუალური პროფილის ფორმირება სამართლის მიმართულების სხვადასხვა სპეციალიზაციის საგნების კონცენტრაციით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულს აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა.

გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი, კომპლექსური საკითხები და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

კურსდამთავრებულმა იცის:

- სახელმწიფოს წარმოშობა, მისი განვითარების ეტაპები და მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები და თავისებურებები;
- სამართლის არსი, მისი ძირითადი პრინციპები და დანიშნულება;
- სამართლის ნორმის ცნება, მისი განმარტებისა და გამოყენების ძირითადი მეთოდები;
- საზღვარგარეთის ქვეყნებისა და ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.
- რომის კერძო სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება, მისი ძირითადი ინსტიტუტები და წყაროები;
- სახელმწიფოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ორგანიზაციის ძირითადი ფორმები, ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები;
- ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი ფარგლები;
- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები, კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოსათვის მიმართვის პროცედურები;
- საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები და მისი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები;
- სამოქალაქო სამართლის ძირითადი ცნებები, კატეგორიები და ინსტიტუტები;



- სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები;
- კონკრეტული ხელშეკრულების ძირითადი მოთხოვნები და თავისებურებები;
- ქონებრივი სამართლის ძირითადი ინსტიტუტები;
- დანაშაულის არსი, დანაშაულისა და სასჯელის ცნება და სახეები;
- ქმედების შემადგენლობის ძირითადი ნიშნები;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები და თავისებურებები;
- წინასწარი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სამართალწარმოების თავისებურებები;
- არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის თავისებურებები;
- ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითადი თავისებურებები;
- ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი ასპექტები და თავისებურებები, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ძირითადი წყაროები;
- სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებები;
- საოჯახო და მემკვიდრეობითი ურთიერთობები;
- შრომისა სამართლის თავისებურებები;
- საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მათი სამართლებრივი რეგულირება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეუძლია სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება;
- აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი;
- შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა, კვალიფიციური იურიდიული დასკვნებისა და კონსულტაციის გაცემა;
- განვითარებული აქვს სამართლებრივი ნორმების რეალიზაციასთან დაკავშირებული ქმედების განხორციელების უნარი, აგრეთვე ფაქტებისა და გარემოებების სამართლებრივი შეფასების უნარი;
- ჩამოყალიბებული აქვს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების ფაქტების გამოვლენისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის უნარი;
- შეუძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და დამოუკიდებლად მუშაობა.

დასკვნის უნარი

- აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების, აგრეთვე სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- აქვს მშობლიურ და უცხოურ ენაზე ინფორმაციის მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემის უნარი;



- აქვს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების და ქართულ და უცხოურ ენებზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი;
- აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.

სწავლის უნარი

- აქვს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარი;
- აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი.

ღირებულებები

- იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.
- აქვს ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.

შეფასების წესი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მიმდინარე შეფასებას;
- შუასემესტრულ შეფასებას;
- დასკვნით შეფასებას.

შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.



განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება უნივერსიტეტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასებაა 51 ქულა.

თითოეულ შეფასების კომპონენტს გააჩნია მაქსიმალური და მინიმალური ზღვარი:

- მიმდინარე შეფასების მაქსიმალური ქულა - 30 ქულა; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 15 ქულა;
- შუასემესტრული შეფასების მაქსიმალური ქულა - 30 ქულა; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 7.5 ქულა;
- დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა - 40 ქულა; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10 ქულა.

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი)

პროფესორი მარიამ ჯიქია, 577471147, m.jikia@gtu.ge, marijikia@gmail.com მის: კოსტავას 77, VI კორპუსი, IX სართული, 901ა



ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - საერთაშორისო ურთიერთობები/International Relations

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

240 კრედიტი (ECTS): სავალდებულო სასწავლო კომპონენტი - 135 კრედიტი (ECTS),
არჩევითი კომპონენტი - 105 კრედიტი (ECTS).

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში/ Bachelor of Social Science in International Relations

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის, სტრუქტურის, თეორიების, სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციური, ეკონომიკური, პოლიტიკური პროცესების, დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების სფეროს ფართო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე, მოქალაქეობრივი და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე პროცესების შეფასებას და ახალ მოდელში საქართველოს როლის განსაზღვრას, ასევე გააცნობიერებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებს და მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება:

- აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას;
- იცის საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის, ეკონომიკური მეცნიერებების, კულტუროლოგიის, სოციოლოგიის ცნებები, ელემენტები და ტერმინოლოგია და აცნობიერებს მათ პარადიგმებს;
- იცის საქმიანი ურთიერთობების, პროტოკოლის და ეტიკეტის როლი, ადგილი და განხორციელების წესი;
- იცის ევროინტეგრაციის ისტორია, მისი ძირითადი ფაქტორები და ევროკავშირის ინსტიტუტები;
- აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ცოდნა;
- აცნობიერებს მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განვითარებას, თანამედროვე მსოფლიოში მზარდი ურთიერთდამოკიდებულებების წარმომქმნელი პროცესების და



დამოუკიდებელ ელემენტთა სტიქიურობისა და მისი მართვის პრობლემებს;

- აცნობიერებს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს;
- აცნობიერებს პატარა ქვეყნის გეოპოლიტიკურ ფუნქციას;
- აცნობიერებს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებს, კანონზომიერ პროცესს და მასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებს;
- აცნობიერებს მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს;
- შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობის მოდელის წარმომქმნელი ფაქტორების გაცნობიერება;
- აცნობიერებს გლობალიზაციისა და უსაფრთხოების პრობლემებს;
- შეუძლია საქართველოს როგორც პატარა სახელმწიფოს მნიშვნელობის და ადგილის სრულყოფილი გააზრება თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში;
- შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების გაანალიზება და განზოგადება, ამ სფეროში მოქმედი კანონზომიერებების გამოვლენა;
- აცნობიერებს პოლიტიკური მონაწილეობის თავისებურებებს და პოლიტიკური პროცესების სპეციფიკას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი :

- აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებით პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევები;
- აქვს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- აქვს ინფორმაციის შეგროვებისა და განმარტების უნარი;
- ფლობს საერთაშორისო პროცესებისა და პოლიტიკის ინტერპრეტირების უნარს, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ კონტექსტში;
- შეუძლია სოციალური მეცნიერებებისათვის დამახასიათებელი და ასევე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის მიხედვით შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება, მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია და ეფექტური პრეზენტაციის ჩატარება;
- ფლობს საერთაშორისო მოვლენების, პროცესებისა და პოლიტიკის გააზრებისა და ადეკვატურად რეაგირების უნარს.
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- საგარეო-პოლიტიკური პოზიციების ჩამოყალიბების, განსაზღვრის, პრიორიტეტების მიხედვით დაყოფისა და განხორციელების უნარი;
- პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტებისა და გარემოებების შევსების უნარი.



დასკვნის უნარი:

- შეუძლია პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციის განზოგადება, კონკრეტული ფაქტების ანალიზი და მათი შეფასება;
- შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემებზე დისკუსიის დროს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიული კონცეფციების გამოყენება;
- შეუძლია თანამედროვე მიდგომების გამოყენება საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პრობლემებზე და შესაბამისი დასკვნების გაკეთება;
- შეუძლია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემების გააზრება, განზოგადება და ამ პრობლემებისადმი თეორიული ცოდნის მისადაგება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და სინთეზური ანალიზის საფუძველზე სწორი დასკვნების გაკეთება;
- შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესებზე დაკვირვება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება;
- შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხების და პრობლემების შესწავლაში პოლიტიკური მეცნიერებების მეთოდებისა და ხერხების გამოყენება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია კომუნიკაცია (ქართულ და უცხოურ ენაზე) სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- ფლობს დიალოგის კონსტრუქციულად წარმართვის უნარს;
- შეუძლია სტატისტიკური ინფორმაციის განზოგადება, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ინფორმაციის დამუშავება და შენახვა, საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის განვითარებასა და „საქმიან თამაშებზე“ შესაბამისი მოდელების წარმოდგენა;
- ინფორმაციულ ბანკებზე დაყრდნობით საერთაშორისო და ლოკალური კონფლიქტების აღწერა და ანალიზი;
- უცხოურ და მშობლიურ ენაზე ოფიციალური და საქმიანი დოკუმენტაციის წარმოების უნარი.

სწავლის უნარი

- შეუძლია ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი საგანმანათლებლო პროფესიული შედეგები;
- საინფორმაციო და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საფუძველზე განვითარების უნარი;
- შეუძლია ცოდნის აკუმულირება და დარგის ინტერდისციპლინურობის გაცნობიერება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სისტემებში მიმდინარე ცვლილებებისა და თეორიული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევენების, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა.

ღირებულებები:

- საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში დამკვიდრებული ეთიკური და



<p>მორალური ნორმების დაცვისა და მათ შესაბამისად ქცევის უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაწილეობს ლიბერალური ღირებულებების განმტკიცების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად; • საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვა.
<p>შეფასების წესი</p>
<p>საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.</p> <p>სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მიმდინარე შეფასებას; • შუასემესტრულ შეფასებას; • დასკვნით შეფასებას. <p>შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.</p> <p>განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება უნივერსიტეტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასებაა 51 ქულა.</p> <p>თითოეულ შეფასების კომპონენტს გააჩნია მაქსიმალური და მინიმალური ზღვარი: მიმდინარე შეფასების მაქსიმალური ქულა - 30 ქულა; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 15 ქულა; შუასემესტრული შეფასების მაქსიმალური ქულა - 30 ქულა; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 7.5 ქულა; დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა - 40 ქულა; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 10 ქულა.</p> <p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.</p>

	<p>დადებითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; • (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; • (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; • (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; • (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა. <p>უარყოფითი შეფასებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
<p>საკონტაქტო პირი (სახელი, გვარი / ტელეფონი / e-mail / მისამართი) ასოცირებული პროფესორი თეა აშნიაშვილი 5591 33 14 11; politika.diplomatia@yahoo.de ქ. თბილისი, დიმიტრი თავდადებულის №26, ბ. №76 პროფესორი მანანა დარჩაშვილი 595 28 11 06; mananadarchashvili@yahoo.com ქ. თბილისი, ვარკეთილის მესამე მასივი, კვარტალი IX, კ. №1, ბ 53.</p>	

Образовательная программа бакалавриата

Название программы - Международные отношения/International Relations

Объем программы в кредитах (ECTS)

Будет присвоено в результате освоения 150 кредитов (ECTS) основной специальности (отсюда 22 кредита(ECTS) обязательный иностранный язык) в сочетании со всеми компонентами представленной программой и накопления не менее 240 кредитов(ECTS) в сумме.

Присваиваемая квалификация

Бакалавр социальных наук по международным отношениям/Bachelor of Social science in International Relations

Язык обучения

Русский

Цель программы

В соответствии с миссией Грузинского технического университета, целью программы является подготовка конкурентоспособных на рынке труда бакалавров сферы международных отношений, ориентированных на высококвалифицированные и демократично-гуманные ценности по конкретным направлениям – мировая политика, национальная и международная безопасность, внешняя и внутренняя политика Грузии, ее роль в новой мировой модели, обучить тенденциям развития международных отношений и мировым интеграционным и демократичным процессам.

Итоги обучения

Знание и осознание

- знание основных вопросов социальных и политических наук;
- знание вопросов политической философии и социологии;
- знание мировых политических идеологий;



- знание политических, общественных, философских, исторических, правовых и экономических аспектов международных отношений;
- знание истории Грузии и основных аспектов становления и развития грузинской дипломатии;
- знание политической истории зарубежных стран и протекающих в них общественных процессов;
- знание теорий международных отношений и методов их осуществления на практике;
- знание истории международной дипломатии;
- знание основных форм вертикальной и горизонтальной организации государства, основных принципов местного самоуправления;
- знание основных прав и свобод человека, их пределов и объёма;
- знание основных принципов международного права и её важные институты;
- знание истории евроинтеграции и её основных факторов;
- знание геополитических теорий и внешнеполитической ориентации стран;
- знание дипломатического этикета;
- теории демократизации, изучение вопроса;
- знание важных институтов дипломатического и консульского права;
- знание основных статей заключения международного договора и важных аспектов его осуществления;
- осознание роли и назначения различных государств и интеграционных образований в новом мировом порядке;
- знание и осознание факторов международного порядка, проблем глобализации и безопасности;
- изучение политической системы современной Грузии;
- осознание места и роли Грузии, как небольшого государства в современной международной системе.
- осознание важности владения иностранными языками для ведения деловых переговоров.

Способность применения знаний на практике

- способность к подготовке внешнеполитических и дипломатических проектов государственного значения;
- способность к осуществлению действий при разработке документации политического и правового характера и их реализации;
- способность к действию с соблюдением процедур и использованием правовых средств на соответствующих службах публичных учреждений;
- способность к обоснованию собственной позиции при включении в дебаты, понимании иного мнения и анализе политических событий;
- способность оценки политических, правовых, социальных, экономических фактов и обстоятельств;
- способность участвовать в процессах формирования внешней политики государства;
- способность идентифицировать связанные с осуществлением внешней политики проблемы, искать, толковать и использовать средства для их решения;
- способность к использованию полученных знаний на практике и способность к самостоятельной работе.



Способность делать выводы

- способность принять решения на основании поиска в различных источниках новой информации и её критического анализа;
- способность переработки информации и интерпретации данных, идентифицирования комплексных проблем и их решения;
- способность обобщения событий политического характера, анализа конкретных фактов и их оценки.

Способность коммуникации

- способность составлять отчёты, комментарии, эссе на политические процессы с использованием специфической терминологии на русском и иностранных языках и вести диалог;
- способность перерабатывать и сохранять информацию с использованием компьютерной техники;
- способность поиска и переработки информации на основании информационных банков;
- способность вести переговоры в пределах дипломатического этикета.

Навык обучения:

Выпускник может:

- многосторонне и последовательно оценивать процесс собственного обучения, с целью профессионального развития или повышения квалификации, определять необходимость дальнейшего обучения;
- С целью обеспечения адекватной профессиональной деятельности в сфере международных отношений и соответствие рынку труда изыскивать и использовать печатные и интернет-ресурсы для расширения кругозора.

Ценности

- способность признания и соблюдения этических и моральных норм, утвержденных в международных отношениях и дипломатии ;
- способность к действиям при практической деятельности с учётом справедливости, прав человека, социальных и демократических ценностей;
- способность идентифицировать общественные интересы и ценности вне различных политических событий и процессов;
- способность установить разумное, целесообразное соотношение между ценностями.

Система оценки

Оценивается по 100 балльной шкале.

Положительная оценка:

- (А)–отлично – оценивается в 91-100 баллов;



- (B)– очень хорошо – оценивается 81-90 баллов;
- (C)– хорошо – оценивается в 71-80 баллов;
- (D)– удовлетворительно – оценивается в 61-70 баллов;
- (E)–достаточно – оценивается в 51-60 баллов.

Отрицательная оценка:

- (FX)–не сдал – оценка в 41-50 баллов, что означает, что студенту, для того, чтобы сдать предмет, нужно больше работать, и ему предоставляется возможность на основании самостоятельной работы еще один раз держать экзамен;
- (F)–срезался – оценка в 40 баллов и меньше, что означает, что проведенная студентом работа недостаточна, и он должен изучить предмет заново.

Контактное лицо (имя, фамилия / адрес электронной почты / адрес)

Профессор Автандил Кикнадзе; 593 31 16 17; a_kiknadze@gtu.ge ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი კ. №76ბ. ბ. №36

Ассоциированный профессор Нона Ломидзе; 577 77 48 00; nonalomidze82@mail.ru ქ. თბილისი, მარაბდის ქუჩა №30.

